განმცხადებელი : თეა ცაგურია

თარიღი : 08-01-2025

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 4;პრინციპი 5;პრინციპი 7;პრინციპი 8;**პრინციპი 9**;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია გადაცემა ,,სათქმელი " (12.12.2024) ჟურნალისტი - ირინა ყურუა

სადავო მასალა : საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, გადაცემა ,,სათქმელი" (12.12.2024)

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : პრინციპი 1- საუბარია ყურუას მონოლოგზე გადაცემაში რომელიც ეხება დეკანისა და 4 სტუდენტის დაკავებას. ყურუას მთელი მონოლოგი აგებულია სიცრუეზე, ის ბრალდებულებს განზრახ წარმოაჩსენს პოლიტპატიმრებად. ბრალდებულები არ არიან დაკავებულები არც აქციის დროს, და არც აქციაზე ყოფნის გამო, ისინი დაკავებულები არიან ჯგუფური თავდასხმისთვის უნივერსიტეტის შენობაში. პრინციპი 3 -ყურუას მიერ წარმოთქმულ მონოლოგში უგულველყოფილია ყველა არსებითი ფაქტი და იგი აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, ყურუას შეგნებულად შეყავს მაყურებელი შეცდომაში. პრინციპი 4 - ჟურნალისტმა ყურუამ უკანონოდ მოიპოვა, დაამუშავა და გამოიყენა პირადი ინფორმაცია, გაავრცელა სახელები, გვარები, თანამდებობები და სხვა პერსონალური ინფორმაცია რითიც დაარღვია ,,პერსონალურ მონაცემთა შესახებ" კანონი. პრინციპი 5- გადაცემის გასვლის შემდეგაც კი, ჩემი მეუღლის თხოვნას, რომ მიეცა საშუალება თავისი პოზიცია დაეცვა იყო მის მიერ უგულველყოფილი. პრინციპი 7- ყურიას გადაცემის შემდეგ პირად შეტყობინებაში მივიღე მუქარის შემცველი სმსები, ასევე ღია კომენტარებში ღირსების შემლახველი კომენტარები დაიწერა, მან წაახალი ჩემს მიმართ აგრესია. პრინციპი 8-ყურუას გადაცემაში გასულმა ცრუ სიუჟეტმა მძიმე ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენა ჩემს არასრულწლოვან შვილს (11 წლის), მიაყენა სულიერი ტკივილი, მან თავი იგრძნო უხერხულად კლასელების, მეგობრებისა და სხვა ნაცნობების წინაშე, რის გამოც იგი რამდენიმე დღე უარს ამბობდა სახლიდან გასვლაზე. პრინციპი 10 - გაასაჯაროვა ჩემი , ჩემი მეუღლის და მისი მეგობრის სახელები, გვარები, სამუშაო ადგილი. პრინციპი 11 - ყურუა გახლავთ ხელოვნების უნივერსიტეტში მოწვეული პედაგოგი, იგი ლექციებს კითხულობს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, ბრალდებული ჯორბენაძე კი არის ამავე ფაკულტეტის პროგრამის ხელმძღვანელი და თანამშრომლისთვის აკადემიური სტატუსის მინიჭება და კარიერული წინსვლა ხდება მისი ინიციატივით და დიდწილად მასზეა დამოკიდებული. ყურუა და ჯორბენაძე ურთიერთდაქვემდებარებაში არიან, ამ ფაქტების

გათვალისწინებით იკვეთება ყურუას პირადი დაინტერესება მისი ხელმძღვანელი ისე წარმოაჩინოს, რომ მიიღოს ამით შემდგომში სარგებელი, რისთვისაც პირადი გამორჩენის მიზნით გამოიყენა ტელევიზია და შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები